

# ხელშეკრულება ონლაინ მაღაზიებში საქონლის შეძენაში, საკრედიტო დაფინანსების მიღებაში და ჩამოტანაში დახმარების მომსახურების შესახებ

## 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. დამკვეთი - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია <http://creditamazon.ge>-ზე.
- 1.2. შპს კრედიტამაზონი“/კომპანია -იურიდიული პირი (ს/კ 405137560), რომელიც დამკვეთის შეკვეთის შესაბამისად, ეხმარება მას ონლაინ მაღაზიებში საქონლის შეძენაში, ამ მიზნით საბანკო განვადების მიღებაში და მის მიერ შეძენილი საქონლის ჩამოტანაში საქართველოში.
- 1.3. გადამზიდი კომპანია -<http://camex.ge> -შპს „კამარა ექსპრესი“ (ს/კ 204577671) - სანარმო, რომელიც ასრულებს საერთაშორისო საჰაერო თუ სახმელეთო გადაზიდვებს.
- 1.4. შეკვეთა -ერთი ან რამდენიმე ნივთი, რომლის/რომელთა შეძენაც სურს ტვირთის დამკვეთს.
- 1.5. ბანკი - შპს „კრედიტამაზონი“-ის მომსახურე ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მხარეები, თანხმდებიან რა იმაზე, რომ დამკვეთს სჭირდება დახმარება სხვადასხვა ონლაინ მაღაზიაში ნივთის შეძენაში, მის ტრანსპორტირებაში და ამ მიზნით საბანკო განვადების მიღებაში, შპს „კრედიტამაზონი“ ტვირთის დამკვეთის სახელით ანხორციელებს:

2.1.1. დამკვეთის მიერ სხვადასხვა ონლაინ მაღაზიებში ნივთის შეძენას დამკვეთისთვის საბანკო განვადების დამტკიცების შემდეგ ან განვადების გარეშე, დამკვეთის სურვილის შემთხვევაში.

2.1.2. ეხმარება დამკვეთს მის მიერ შეძენილი ნივთის საქართველოში ტრანსპორტირებაში გადამზიდი კომპანიის საშუალებით.

2.1.3 ახორციელებს დამკვეთის მიერ ონლაინ მაღაზიაში ნივთის შესაძენად საჭირო თანხის, ტრანსპორტირების ღირებულების და მომსახურების განწევისთვის მობილიზებული ნებისმიერი სხვა თანხის ტრანზიტს, საკუთარი საბანკო ანგარიშის მეშვეობით.

## 3. შეკვეთის განხორციელება

3.1. დამკვეთი სასურველი შეკვეთის არჩევის შემდეგ, ელექტრონულად ავსებს განაცხადს განვადების დამტკიცების შესახებ.

3.2. 3.1 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის გაცემებამდე, დამკვეთი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე სამომხმარებლო წესებსა და პირობებს.

3.3. შპს „კრედიტამაზონი“ დამკვეთის მონაცემებს უგზავნის ბანკს განვადების დასამტკიცებლად.

3.4. წინამდებარე წესებისა და პირობების დათახმების შემთხვევაში, დამკვეთი ეთანხმება განვადების გაცემის მიზნით ბანკის მიერ დამკვეთის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას „კრედიტინფოში“ - <http://www.creditinfo.ge/> ში.

3.5. ბანკის მიერ დამტკიცებული განვადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ხარჯებს :

3.5.1. ტვირთის დამკვეთის მიერ მითითებული შეკვეთის ღირებულება. შეკვეთის ფასის დაანგარიშება მოხდება ქართულ ლარში, შეკვეთის საიტზე განთავსების დღისათვის, შპს „კრედიტამაზონის“ მომსახურე ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.5.2. ტრანსპორტირების ღირებულება, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ტრანსპორტირების ღირებულების დაანგარიშება მოხდება ქართულ ლარში, შეკვეთის შესყიდვის დღისათვის, „კრედიტამაზონის“ მომსახურე ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად).

3.5.3. შეკვეთის დეკლარირებასთან დაკავშირებული ხარჯები. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3.5.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო ხარჯი.

3.5.5. წინამდებარე წესებისა და პირობების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

3.6 განვადების დამტკიცების შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია 3 სამუშაო დღის განმავლობაში ხელი მოაწეროს განვადების ხელშეკრულებას. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს უარი განაცხადოს მომსახურების განწევაზე.

3.7. კომპანია ვალდებულია დამკვეთის სახელით შეკვეთის შესყიდვა/ჩამოტანაში დახმარებისთვის აუცილებელი მოქმედებები დაიწყოს დამკვეთის მხრიდან წინამდებარე წესებისა და პირობების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, დამკვეთსა და ბანკს შორის ხელშეკრულების გაფორმების დღე მხედველობაში არ მიიღება.

3.8. შეკვეთის შესყიდვის/გამოწერის შემდეგ კლიენტს ეძლევა საშუალება ონლაინ რეჟიმში თვალის ადევნოს შეკვეთის სტატუსს, ადგილმდებარეობას, ტრანსპორტირებისთვის საჭირო სავარაუდო დროს და სხვა მსგავსი სახის ინფორმაციას.

## 4. მომსახურების საფასური

4.1. მომსახურების საფასური შეადგენს წინამდებარე სამომხმარებლო წესებისა და პირობების 3.5.1 ქვეპუნქტიდან, 3.5.4 ქვეპუნქტის ჩათვლით გათვალისწინებული ფულადი თანხების ჯამის 10 % (ათი პროცენტი) - ს, რომელიც ასევე მოიცავს 2.1.3 პუნქტში აღწერილი მომსახურების საფასურს.

4.2. წინამდებარე სამომხმარებლო წესებისა და პირობების 3.5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეკვეთის ღირებულება არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები.

## 5. ონლაინ მალაზიების სტანდარტული პირობები

5.1. წინამდებარე სამომხმარებლო წესებისა და პირობების მიმართ მოქმედებს ონლაინ მალაზიის მიერ დადგენილი სტანდარტული პირობები.

5.2. დამკვეთი აღნიშნულ სამომხმარებლო წესებსა და პირობებზე დათანხმებით ადასტურებს

5.3. პუნქტში მითითებული სტანდარტული პირობების გაცნობის ფაქტს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას.

5.3. აღნიშნულ წესები და დამატებითი დეტალები განთავსებულია შემდეგ ვებ- გვერდებზე:

<http://www.amazon.com/gp/help/customer/display.html?nodeId=1161272>

<http://www.6pm.com/customer-service-center>

[http://zapa.ge/index.php?route=information/information&information\\_id=3](http://zapa.ge/index.php?route=information/information&information_id=3)

<http://www.forever21.com/CustomerService/CustomerService.aspx?br=f21&content=faq>

<http://oldnavy.gap.com/customerService/info.do?cid=3171&mlink=5151,8562444,1&clink=85 62444>

[http://www.gap.com/customerService/info.do?cid=2136&mlink=5058,10807990,CS\\_Footer\\_CustomerService&clink=10807990](http://www.gap.com/customerService/info.do?cid=2136&mlink=5058,10807990,CS_Footer_CustomerService&clink=10807990)

[http://zapa.ge/index.php?route=information/information&information\\_id=3](http://zapa.ge/index.php?route=information/information&information_id=3)

[http://www.myhabit.com/help/201606360/ref=qd\\_ft\\_hp\\_snr/](http://www.myhabit.com/help/201606360/ref=qd_ft_hp_snr/)

<https://customerservice.victoriasscret.com/> <http://www.asos.com/customer-service/customer-care/help/?help=/app/home> [http://www.urbanog.com/faq\\_help.php?paction=return](http://www.urbanog.com/faq_help.php?paction=return)

<http://www.zappos.com/general-questions> <http://www.carters.com/cs-shipping.html>

<https://www.hm.com/us/customer-service#>

[http://combo.ge/index.php?route=information/information&information\\_id=5](http://combo.ge/index.php?route=information/information&information_id=5)

[http://duo.ge/index.php?route=information/information&information\\_id=3](http://duo.ge/index.php?route=information/information&information_id=3)

[http://york.ge/index.php?route=information/information&information\\_id=5](http://york.ge/index.php?route=information/information&information_id=5)

[http://swiss.ge/index.php?route=information/information&information\\_id=5](http://swiss.ge/index.php?route=information/information&information_id=5)

## 6. შეკვეთის მიღება

6.1. შეკვეთის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება გადამზიდი კომპანიის მიერ დადგენილი რეგულაციის მიხედვით. მომსახურების პირობები განთავსებულია შემდეგ გვერდზე - <http://camex.ge/services>.

6.2. შეკვეთის საქართველოში ტრანსპორტირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დამკვეთი ვალდებულია მოახდინოს მის მიერ ონლაინ მაღაზიაში შექმნილი საქონლის გადამზიდი კომპანიისგან შეკვეთის მიღება.

6.3. დამკვეთი ვალდებულია შეკვეთის მიღებისას მოახდინოს მისი ხარისხისა და პარამეტრების შესაბამისობა ონლაინ მაღაზიაში მის მიერ მითითებული შეკვეთის მახასიათებლების გათვალისწინებით.

6.4. თუ დამკვეთი მიიღებს შეკვეთას ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს და არ აყენებს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა შეთანხმებულ მდგომარეობაში; თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს, დამკვეთი ვალდებულია აღნიშნული პრეტენზია წარადგინოს შეკვეთის ჩაბარების დღესვე, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში – ჩაბარებიდან არა უგვიანეს ერთი კალენდარული დღისა. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის უფლება ერთმევა. 6.5. დამკვეთის მიერ წარდგენილი მოთხოვნა (პრეტენზია) კომპანიას წარედგინება წერილობითი სახით.

6.6. თუ შეკვეთა ნაკლის მქონეა, დამკვეთის მიერ მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენიდან გონივრულ ვადაში კომპანია ვალდებულია შეკვეთის ნაკლის შესახებ აცნობოს ონლაინ მაღაზიას, რომელიც უზრუნველყოფს შეკვეთის შეცვლას სტანდარტული პირობების შესაბამისად.

6.7. კომპანიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ონლაინ მაღაზიის მიერ დადგენილი სტანდარტული პირობების შესაბამისად, ონლაინ მაღაზია უარს განაცხადებს ნაკლიანი ნივთის გამოცვლაზე.

6.8. ტრანსპორტირების დროს შეკვეთის დაზიანებისა თუ დაღუპვის შემთხვევაში კომპანია დამკვეთის დავალებით მიმართავს გადამზიდ კომპანიას და ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მოსთხოვს ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნული არ ართმევს დამკვეთს უფლებას პირადად აწარმოოს დავა გადამზიდ კომპანიასთან.

6.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს დამკვეთს შეკვეთასთან დაკავშირებული ყველა საბუთი.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებათა სრული, ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. კომპანია პასუხს არ აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია გადამზიდი კომპანიის ან/და ონლაინ მაღაზიის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით.

## 8. თორს–მაჟორი

8.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისთვის, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებით, სამთავრობო გადანყვეტილებებით, სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა შეკვეთის შექმნის შემდეგ.

8.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების წინამდებარე სამომხმარებლო წესებისა და პირობებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის: საგაჯრო, სამრეწველო, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

8.5. არშეტყობინება ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს, გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად.

## 9. კონფიდენციალურობა

9.1. წინამდებარე წესები და პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:

9.1.1. იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად.

9.1.2. ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამაც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან.

9.1.3. ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნათა შესაბამისად.

9.2. დამკვეთი წინამდებარე წესებისა და პირობებზე თანხმობით უფლებას აძლევს შპს „კრედიტამაზონი“-ს ურთიერთანამშრომლობის ეტაპზე მინოდებული ინფორმაცია

გადაუგზავნოს ბანკს, განვადების დამტკიცების და შესაბამისად, დამკვეთის საკრედიტო ინფორმაციის გადამონმებისთვის, და ასევე ის გამოიყენოს სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნით.

9.3 დამკვეთი წინამდებარე წესებისა და პირობებზე თანხმობით უფლებას აძლევს შპს „კრედიტამაზონი“ ს ურთიერთთანამშრომლობის ეტაპზე მიწოდებული ინფორმაცია გადაუგზავნოს სს მისო „კრისტალს“, რომელსაც აქვს უპირობო მოიძიოს ინფორმაცია დამკვეთის შესახებ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე დამკვეთთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამკვეთის როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს კრედიტინფო საქართველოს, რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას „კრედიტინფო საქართველოს“ საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის. კრედიტინფო საქართველო, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემონმების მიზნით.

2. კომპანიას უფლება აქვს კლიენტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემონმების, მისთვის მომსახურების განწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით ძიებების რაოდენობების შეზღუდვად მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია „კრედიტინფო საქართველოს“, კლიენტის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატების შესახებ.

3. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობას და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე კლიენტის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო მონაცემებს.

## 10. პრეტენზიები და დავები

10.1. მხარეები აღნიშნავენ, რომ ეცდებიან ურთიერთნამშრომლობის ეტაპზე წარმოქმნილი ყოველგვარი დავის ან კონფლიქტის თავიდან აცილებას, ხოლო უთანხმოებათა გადანყვეტას უზრუნველყოფენ ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. დავის წარმოშობიდან 15 დღის ვადაში კონსენსუსი მიუღწევლობის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის არჩევით, წარმოქმნილი დავა გადანყვეტა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განსახილველად გადაეცემა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

10.4. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

## 11. დამატებითი პირობები

11.1. ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე სამომხმარებლო წესებითა და პირობებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. დადგენილი სამომხმარებლო წესებისა და პირობების რომელიმე მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის, დათქმის, წინადადების ბათილობა არ იწვევს სამომხმარებლო წესებისა და პირობების სრულად ბათილობას.

\*\*\*ცვლილება 2016 წლის 24 თებერვლის რედაქციაში: 26 მარტი, 2016 წელი  
მხარეთა პასუხისმგებლობა

7.4 Ebay.com-იდან საქონლის განვადებით შეძენის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში ძალაში შედის ახალი პირობები. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ვებ-გვერდზე გამყიდველების უმეტესობას წარმოადგენენ ფიზიკური პირები, შპს "კრედიტამაზონი" არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას ნივთის ხარისხზე. თუმცა, იღებს ვალდებულებას, აღნიშნული რისკის შესახებ აცნობოს დამკვეთს პირადი სატელეფონო კონტაქტის დროს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მას არასურველი პროდუქტის მიღების ან მისი არმიღების შემთხვევაში, გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაში, Ebay.com-თან მოლაპარაკების გზით.